

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აგვისტოს №01-06/10 რიგგარეშე
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. მუნიციპალური პროექტების დაფინანსების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2020 წლის -- აგვისტო
დაბა ქედა**

**მუნიციპალური პროექტების დაფინანსების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის
მერის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ
წინადადების მოწონების თაობაზე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საპროექტო წინადადება თანახმად დანართი №1-სა და ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში საავტომობილო გზებზე დასაგებად საჭირო მზა ბეტონის რეესტრი დანართი №2-სა.
2. დანართი №1 და დანართი №2 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე).
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტი

საპროექტო წინანადადება

(ლარი)

№	საპროექტო დასახელება	ინფრასტრუქტურული პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე)/სხვა პროექტის ღირებულება	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში საავტომობილო გზებზე დასაგებად საჭირო მზა ბეტონის შეძენა	166 500	166 500	2020 წელი	

ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში საავტომობილო გზებზე დასაგებად საჭირო მზა ბეტონის რეესტრი

N	ტერიტორიული ორგანო	N	სოფელი	ბეტონის რაოდენობა (კბმ-ში)	ერთი კბმ ბეტონის ფასი (ლარი)	მთლანი ფასი (ლარი)
1	დანდალო	1	დანდალო	160	150	24000
	ჯამი:			160	0	24000
2	ცხმორისი	2	კოკოტაური	150	150	22500
	ჯამი:			160	0	22500
3	წონიარისი	3	წონიარისი	40	150	6000
	წონიარისი	4	აბუქეთა	40	150	6000
	ჯამი:			80	0	12000
4	ზვარე	5	ზესოფელი	20	150	3000
	ზვარე	6	სირაბიძეები	40	150	6000
	ჯამი:			60	0	9000
5	დაბა ქედა	7	აქუცა	20	150	3000
	დაბა ქედა	8	გულუბი	30	150	4500
	დაბა ქედა	9	ზენდიდი	20	150	3000
	დაბა ქედა	10	ორცვა	30	150	4500
	დაბა ქედა	11	ძენწმანი	30	150	4500
	დაბა ქედა	12	შევაბური	70	150	10500
	ჯამი:			200	0	30000
6	პირველი მაისი	13	პირველი მაისი	25	150	3750
	პირველი მაისი	14	კოლოტაური	25	150	3750
	პირველი მაისი	15	ზედა აგარა	10	150	1500
	ჯამი:			60	0	9000
7	მახუნცეთი	16	ზუნდაგა	65	150	9750
	მახუნცეთი	17	ნამლისევი	25	150	3750
	მახუნცეთი	18	მილისი	20	150	3000
	ჯამი:			110	0	16500
8	დოლოგანი	19	დოლოგანი	30	150	4500
	დოლოგანი	20	ჭალახმელა	10	150	1500
	დოლოგანი	21	ჭინკაძეები	20	150	3000
	ჯამი:			60	0	9000
9	ოქტომბერი	22	ოქტომბერი	10	150	1500
	ოქტომბერი	23	კუჭულა	10	150	1500
	ოქტომბერი	24	მეძიბნა	20	150	3000
	ოქტომბერი	25	აგოთა	10	150	1500
	ოქტომბერი	26	გოგინიძეები	20	150	3000
	ჯამი:			70	0	10500
10	მერისი	27	სიხალიძეები	50	150	7500
	მერისი	28	გარეტყე	20	150	3000
	მერისი	29	გუნდაური	20	150	3000
	მერისი	30	სილიბაური	30	150	4500
	მერისი	31	ნამონასტრევი	40	150	6000
	ჯამი:			160	0	24000
	სულ ჯამი:			1120	0	166500

განმარტებითი ბარათი

მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, სოფლის გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის და სავალი ნაწილის ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით საჭიროა 1120 კბ.მ მზა ბეტონის შეძენა, რომლის სავარაუდო ღირებულება საბაზრო ფასების გათვალისწინებით 1 კბ.მ-ზე შეადგენს 150 ლარს, აქედან გამომდინარე მთლიანმა საპროექტო ღირებულებამ შეადგინა 166500 (ასსამოცდაექვსიათას ხუთასი) ლარი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიზანშეწონილია საკრებულოს სხდომაზე მოწონებული იქნას მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საპროექტო წინადადება.

საკრებულოზე მიღებული გადაწყვეტილება (განკარგულება) გაეგზავნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და ეთხოვება შესაბამისი ღონისძიებების გატარება.